# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


შინაარსი: ტფილისი, 1 ივლისი.—ახალი ამბავი. — ნარკვევი. რუსეთი.—უცხოეთი. — დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი. —საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

ფელეტონი: ელენეს დღიური (ნათარგმნი მოთხრობა), ორ-ანისა.

ტფილისი, 1 ივლისი

წარსულს წერილში ჩვენა ვსთქვით ჩვენის თავად-აზნაურობის ზოგიერთა წარმომადგენელთა შესახებ და თანაც გაკვრით შევეხეთ თვით იმ წოდების მნიშვნელობას წარსულსა და აწმყოში, რათა ამ საშუალებით აგვეხსნა ზოგიერთი მისი ქვეყნისათვის მავნე და შემხუთველნი თვისებანი. ადვილად შესაძლებელია, რომ იმ წერილმა აღუძრა მკითხველს აზრი შესახებ იმისა, თუ რას წარმოადგენს დღეს თვით ჩვენი თავად-აზნაურობა, რა საზოგადოებრივს ძალას შეიცავს იგი და რა ადგილი უჭირავს ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში. მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს საგანი მეტად ღირს-შესანიშნავია, რადგანაც იგი სწვდება ისეთს რიცხვით დიდსა და ზოგიერთ უპირატესობით აღჭურვილს წოდებას, როგორც ჩვენი თავად-აზნაურობაა: მით უფრო შესანიშნავია ეს საგანი, რომ იგი წოდება დღესაც ფერსა და მიმართულებას აძლევს ჩვენს ცხოვრებას და, უეჭველია, ჯერ კიდევ დიდს ხანს იდგომება ჩვენის ცხოვრების სათავეში, ესე იგი ჩვენი ბედი და უბედურება მასზე არის და იქნება დამოკიდებული და, უეჭველია, იგი მრავალს განსაცდელს და უბედურებას შეგვამთხვევს, თუ რომ იმავე მდგომარეობაში დარჩა, რა მდგომარეობაშიაც დღემდის იმყოფება, თუ იგი არ მოიწადინებს, რომ ფერი და ხასიათი შეიცვალოს და ამ ნაირად დროსა და ვითარებას შეუფეროს თავისის ცხოვრების გზანი.

როგორც წარსულს წერილშივე აღვნიშნეთ, ჩვენი თავად-აზნაურობა იყო ღვიძლი შვილი ჩვენის წარსულის ისტორიისა, რადგანაც იგი წინ წამოაყენა და სხვა-და-სხვა უპირატესობით შეამკო თვით ხალხმა, რომელსაც ეჭირვებოდა წინამძღოლი და ფარ-ხმალი მტერთა მოსაგერებლად. როგორც ყოველ საზოგადოებამ, რომელიც ისტორიულ საზოგადოებად არის ცნობილი, ისე ჩვენმაც დაუთმო პირველი ადგილი ცხოვრების მოედანზე იმათ, ვინც ან გონებით, ან ხმნეობით და ან ზოგჯერ მარტო შემთხვევის წყალობითაც, თავი იჩინეს ცხოვრებაში და რაიმე სამსახური გაუწიეს ქვეყანას. ისტორია რომლისამე ხალხისა ბრძოლაა შემაფერხებელ გარემოებათა წინააღმდეგ და ამ ბრძოლის აუცილებელს ნაწილს შეადგენს ბრძოლა მტერთან; ამ გვარის ბრძოლისათვის აუცილებლად საჭირო იყო რომელიმე დასი ხალხისა, რადგანაც მთელი ხალხი, რომლის მხარბეჭზე დამყარებული იყო მთელი ყოფა-ცხოვრება საზოგადოებისა, რომელსაც ტვირთად აწვა მთელი ისტორია, თვის დროსა და ძალღონეს ვერ მოანდომებდა, მაგალითად, მარტო მტერთან ბრძოლას, თან იმისათვის, რომ საიმისოდ დრო და მოცალეობა არა ჰქონდა და თანაც იმისთვის, რომ ადგილი უნდა დაეთმოს იმისათვის, ვინც უფრო მხნე და მამაცი იყო. ასე და ამ გვარად, ზოგჯერ სრულიად ცნობიერად და ზოგჯერ უცებად, წინ წამოდგება რომელიმე წოდება, რომელსაც მიენიჭება ხოლმე სხვა-და-სხვა უპირატესობა. უეჭველია ამ ორის გზით წარმოსდგა მაღალი წოდება ჩვენშიაც: ჩვენი წარსული, როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, აუცილებლად სამხედრო თვისებისა უნდა ყოფილიყო, რადგანაც ხელის გულის ოდენა საქართველო, ძლევა-მოსილ მტერთა-შუა მოქცეული, იძულებული იყო მრავალ საუკუნოთა განმავლობაში შეუპოვრად ებრძოლა მტერთან და ყოველთვის მზად ყოფილიყო გულ-და-გულ დახვედროდა რომლისამე თავ-გასულის მტრის ზედ-მოსევას. მართლადაც მაშინ მხედრობამ დიდაც თავი ისახელა, ქვეყანა და ერი მტრებს არ გაასრესინა და ბრძოლაში ხმალი ხელიდგან არ გაუგდია, თუმცა ბრძოლის შეუწყვეტლობა, მუდმივობა ხანდისხან ძალღონეს მიჰხდიდა ხოლმე და ხმალსაც უჩლუნგებდა. აი, ეს მუდმივობა, შეუწყვეტელობა ბრძოლისა, თუმცა იგი სასახელო იყო ჩვენის ერიისათვის, მძიმე ტვირთად დააწვა ჩვენს ერს. იმ ბრძოლისათვის მთელი ერი უნდა ამხედრებულიყო ხოლმე მაღალ წოდების წინამძღვრობით და ამ ნაირად ცხოვრების მშვიდობიანად მსვლელობაზე ძალა-უნებურად ხელი უნდა აეღოთ. ეს გარემოება ჩვენს ცხოვრებას მით დაეტყო, რომ ჩვენი სულიერი, ზნეობრივი და ეკონომიური წარმატება შეფერხდა. თვით მაღალი წოდება მუდმივის ბრძოლისაგან თითქმის იმ ზომამდე დაიღლია, რომ გამოეცალა ნამდვილი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ქვეყანას მოვლა და გაძღოლა: შერჩა მხოლოდ ნიჭი და უნარი ქვეყნის გაძღოლისა მარტო ომიანობის დროს. გარდა ამისა, იმავე გარემოებამ და თანაც მუდმივმა შიშიანობამ და გამარჯვებულთა მტერთა ზედ-მოქმედებამ იმოდენად შეასუსტა ერის ურთი-ერთ შორისი კავშირი, იმოდენად განასხვავა ქვეყნის სხვა-და-სხვა ნაწილების და სხვა-და-სხვა წოდებათა ინტერესები, რომ იგინი ზოგჯერ სამსახურს-კი არა, არამედ მტრობას უწევდნენ ერსა და ქვეყანასა. გარდაავლეთ თვალი უკანასკნელ საუკუნეთა ისტორიას და თქვენ აშკარად დაინახავთ, თუ რაოდენს განსაცდელს და უბედურებას აყენებდნენ ქვეყანას და ერსა ზოგიერთნი წარმომადგენელნი მაღალის წოდებისა. დიაღ, მუდმივმა ბრძოლამ აღზარდა მათში მხოლოდ მხნეობა და არა მოქალაქობრივი გრძნობა, ურომლისოდ ქვეყნის მოვლა და გაძღოლა შეუძლებელი საქმეა, ასე რომ ჩვენი მაღალი წოდება შეიქმნა ორ-პირ ხმლად და ერთის პირით მტერსა სცემდა და მეორეთი-კი ზოგჯერ თვის სამშობლოს. ერთის სიტყვით ჩვენს, თავად-აზნაურობაში ისეთი თესლი იყო, რომ ჩვენი ძალაც გამოდიოდა და ჩვენი უძლურებაც.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ბაზარი, სემინარიის პირ-და-პირ, ერთად ერთი ბინაა, საცა დღიური მუშა და მრავალ გვარი ხელოსანი თავს იყრის მუდამ დღე დილის ოთხის საათიდგან შვიდს საათამდინ. აქ მოდიან მუშის და ხელოსნის და-

## ფელეტონი

### ელენეს დღიური

(შემდეგი*)

ოთხშაბათი, 2 ივნისი.

ორშაბათიდგან ხოლერა ცოტა შემცირდა, მაგრამ მაინც დღეში ოცოც-ათი კაცი ხდებოდა ავად. მთელი ქალაქი დაცარიელებულია და დანაღვლიანებული. დუქნების ფანჯრებში გამოკრულია განცხადებანი იმის შესახებ, რომ საშინელმა ჭირმა, შეუბრალებელმა ჭირმა, უწყალო ჭირმა ამდენი-და-ამდენი სული გაწყვიტაო. ქალაქის კედლები გაჭრელებულია ერთ აბლიანის განცხადებებით, რომლებშიაც საზოგადოებას ურჩევენ, რომ ესა-და ეს წამალი კარგია, ასე-და-ასე უნდა მოიქცეს კაცი, რომ ეს ჭირი არ გადაედოსო და სხვ.

ღარიბებისათვის ფულებს აგროვებენ, კომიტეტებს აარსებენ: კომიტეტი „მწვანე ჯვარისა", „ბუცენტავრის საზოგადოება" და სხ. მუქთად ურიგებენ ღარიბებს სურსათს, ფულს. ყველა ამას ბრაზზე მოჰყავს პოლკოვნიკი სტრუცცა. დღეს აი რას ეუბნებოდა ამის თაობაზედ ჯეჯიას:

— რაო, რა ჯვრებს იგონებენ,— წითელი, მწვანე, თეთრიო? მასხარობენ და სხვა არაფერი! მეტიჩარაობენ, უბრალოზე თავ-პირს იმტვრევენ, რა არის მთავრობამ დაინახოს, როგორ ეირჯებით და ორდენები გაეიკრათო!.. არა, თქვენა გწამთ, რომ ხოლერა იყოს ქვეყანაზედ?.. მე თქვენ არა გკითხავთ,—რას ვაქნევ თქვენს აზრსა?! მხდალები არიან, აირიე-დაირივნენ და ზოგიერთნი კიდევ წინა ძვრებიან,—ვითომ და აი გვეყურეთო! აი, თუ გინდა ეს ცრუ-ექიმბაშები აიღეთ, რომელნიც მთელი დღე დაწრწიან ქალაქის ქუჩებში და ხოლერით ავადმყოფებს ეძებენ... რა ენაღვლებათ, თუ ვერავის იპოვნიან, მოიგონებენ, ტყუილს მოაჭორებენ... მასხარები, პამპულები ეგენი!.. აი, 1849 წ. იყო ვენეციაში ხოლერა, დღე-ღამეში ოთხასი კაცი ხდებოდა ავად! დიაღ! თქვენ ხომ მაშინ ჯერ დაბადებულიც არ იქმნებოდით, 1849 წელსა; მით უფრო ცუდი თქვენთვის: კიდევ დიდხანს იცოცხლებთ ამ საძაგელს ქვეყანაში... რაო, რაო? სად გარბიხართ?

— ქუჩიდგან ზარს აწკარუნებენო,— უთხრა მოსამსახურე გოგომ.

— არა უშავს-რა, დაიცდიან!.. რაკი ელაპარაკობ, ყურიც უნდა მიგდო. სად გისწავლია ზრდილობა?

კიდევ დააწკარუნეს. სინიორა ჩელესტა შინ არ იყო; ასე მეგონა, ის დაბრუნდა-მეთქი, და ამიტომ გაველი კარების გასაღებად.

პროფესორი ვერდანი აწკარუნებდა; გასაღები დავიწყებოდა და იმიტომ მობრუნებულიყო უკან. კაცი ვერ წარმოიდგენს, თუ როგორ შერცხვა, როცა დამინახა, როგორ წამოწითლდა, როგორ ნანობდა, რომ დავაწკარუნე და თქვენ შეგაწუხეთო.

— რა შეწუხებაა,—ვუთხარი მე:— პოლკოვნიკი ელაპარაკებოდა ჯეჯიას, არ გამოუშვა და მე გამოველ კარების გასაღებად.

— მართლა!.. სთქვა პროფესორმა.

კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მეც მინდოდა რიღაცის თქმა, მაგრამ ორივენი წამოვწითლდით, თავი დავუკარით ერთმანერთს თავაზიანად და დავიშალენით.

ახლოდგან პროფესორს ვერდანის არა უჭირს-რა, ლამაზი სახე აქვს.

ვინ იცის, ოდოარდოს პასუხი გზაშია. ტფილისიდგან ვენეციამდე წერილს ორი კვირა უნდება, ასე რომ კიდევ ათი-თორმეტი დღე ლოდინი მომინდება. საშინლად მინდა გავიგო, რამდენს ფულს გამომიგზავნის ჩემი ძმა. ძმის გამოგზავნილ ფულამდე მე ჩემს საკუთარს ფულს ვიზოგავ, ვაგროვებ, რომ მოგზაურობის დროს საჭირო ნივთები ვიყიდო და ჩემს ნაცნობებსა და მეგობარ-ქალებს წასვლის დროს საჩუქრები დავურიგო. თუ ჩემმა ძამ მხოლოდ იმდენი ფული გამომიგზავნა, რამდენიც საკმაოფია, რომ კაცი სტამბოლში წავიდეს, მაშინ ის ძვირფასი ნივთები უნდა გავყიდო და ან დავაგირავო, რომლებიც მშობლებმა დამიტოვეს და სახსოვრად მინდოდა შემენახა... ეს-კი, სწორე მოგახსენოთ, ვერაფერი ამბავი იქნება.

შაბათი, 5 ივნისი.

დღეს დილით სინიორა ჩელესტა ამიხირდა, უეჭველად უნდა წამოხვიდე ეკკლესიაში, სადღესასწაულო წირვა იქნება და ღვთის-მშობელს შევედრებიან, რომ მოსპოს როგორმე საშინელი და კაცთა-დამღუპველი ჭირიო. მე სარწმუნოებას საზოგადოდ პატივსა ვცემ, მაგრამ არ მინდა ხალხს ღვთის მოსავად ვაჩვენო თავი, როცა ასეთი არა ვარ. ჩელესტას უარი ვუთხარი ეკკლესიაში წასვლაზედ და მხოლოდ იმითი დავამშვიდე, რომ ვენეციიდგან წასვლამდე თქვენთან ერთად წმ. მარკოსის სობოროში წამოვალ წირვაზედა-მეთქი. დიდის სიამოვნებით წავალ. სობორო მშვენიერად არის აშენებული და ძალიან ლამაზია! მე ურწმუნო იაკობინელი არა ვარ, ეკკლესიაში სიარულს არ ვერიდები, არ შემიძლიან ულოდინარმა უარ-ვყო, არ ვირწმუნო... არ ვიცი, არ შემიძლიან ცბიერობა,— ხოლო...

არც სინიორა ჩელესტაა ეკკლესიით გატაცებული, ფანატიკოსი. თუმცა უარი ვუთხარი ეკკლესიაში წასვლაზედ, მაინც სახლიდგან ერთად გამოველით: ის ერთს მხარეს წავიდა, ეკკლესიაში, და მე მეორე მხარეს. შინ რომ ვბრუნდებოდი, სან-მოიზეს ახლო პატარა გემში ჩავჯექი. ჩემს შორი-ახლოს ექიმი ნევროტტი იჯდა; ნევროტტი ადრე ჩვენის ოჯახის ექიმი იყო და დაბადებიდგანვე მიცნობდა. მე თვითონ არ მინდოდა მივსულიყავ და ხელი ჩამომერთმევინა; ექიმი-კი ბეცი იყო და ვერ შემნიშნა.

ეკკლესიას ახლო გავუარეთ. მშვენიერი ეკკლესია ღია იყო და სანთლებითა კაშკაშებდა; ზღვის ნაპირას ბევრი ნავები იდგა და მათ შორის ქალაქის საბჭოს ნავებიც ერია: ამ ნავებს ცხვირებზედ ბაირაღები ჰქონდა გაკეთებული და მენავეებიც სადღესასწაულოდ იყვნენ ჩაცმულნი.

— ექიმო,—იკითხა ვიღამაც—ვითომ ამით ხოლერას ეშველოს რამე?

ექიმმა უიმედოდ გაიქნია თავი.

ექიმი სახით თითქო დაბერებულიაო, მაგრამ ისეთივე ურწმუნოა და ყველაფერს ჰკილავს და დასცინის, როგორც უწინ; დარწმუნებული ვარ, რომ ექიმი ნევროტტი უწინდელებრ კეთილი, ადამიანის შემბრალებელი და პატიოსანი კაცია.

იმედი აღარც-კი მქონდა, რომ ექიმი დამინახავდა, მაგრამ „ოქროს ნავთ-საყუდელთან" გამოემშვიდობა თავის მეგობრებს და ნაპირზე ჩემთან ერთად გადმოვიდა გემიდგან. მივუახლოვდი და ხელი გავუწოდე

*) იხ. „ივერია" № 132.

მქირავებელნიც, ურიგდებიან და მიუდით სამუშაოდ.

დილ-დილაობით ისე მჭიდროდ გაიტენება ხოლმე მუშა ხალხით ეს მოედანი, რომ კაცს, თუ არ ტროტუარზე, გავლა უჭირდება. როგორც გვატყობინებს დამსწრე, თურმე ბაყლები და ყასბები ძრიელ უსამართლოდ ეკიდებიან მუშებს და ხშირად არა თუ ლანძღვა-გინებით ჰმასპინძლობენ, ნარეცხსა და ჭუჭყიან წყალხაც-კი ასხამენ თავზე—„მოშორდით დუქნის კარებს, ნუ აბნელებთო“ და სხვა.

სად მოშორდეს და საით წავიდეს? ქალაქს ხარჯს აძლევს და მთავრობას ემსახურება! უნდა იმუშაოს, რომ ეს ხარჯი გადაიხადოს; ან სად უნდა წავიდეს, როდესაც ერთად-ერთი ბინა მუშებისა მხოლოდ „იარმუკა“ არის?!

ამითი რომ თავდებოდეს მუშათა განსაცდელი და გაჭირება, კიდევ მადლობა ღმერთს. მაგრამ ამაზე უფრო მეტი სასჯელი ადგებათ ამ ბედში გამოწირულთ: გამოივლის თუ არა ერთი ვინმე. გაადენს თხლაშანს საწყალ მუშახს. რომ ჰკითხოთ, რათა სცემო? მოგიგებთ: „მექეიფება და ვსცემო“. გუშინწინ სცემა ვანო გოგაძეს და გუშინ დურგალს გაბო შიოშვილს. ამ გვარი უწესო მოქმედებისა გამო გუშინაც კინაღამ არ გაიმართა უშველებელი ჩხუბი მუშათა და მოწესეთა შორის, რომ რამდენიმე მშვიდობის მოყვარე ხალხი არ ჩარეულიყო და არ დაემშვიდებინათ მუშები. ბოლოს გადასწყვიტეს პირდაპირ გუბერნატორთან წასვლა საჩივლელად. აუცილებლად საჭიროა მიაქციონ ამ ამბავს ჯეროვანი ყურადღება, ვისიც ჯერ არს.

*** 30 ივნისს ტფილისში ცეცხლი გაუჩნდა რკინი-გზის სახელოსნო შენობას. თუმცა დიდი ბეჯითობა და შრომა იხმარეს როგორც რკინი-გზის მუშებმა, აგრეთვე პოლიციამ მაინც სახელოსნო ძრიელ დაზიანდა—ბანი და იატაკი თითქმის ერთიან გადაიწვა. ზარალი ორას თუმნამდე გასტანს. ცეცხლი გაჩენილა ამ რიგად: თუჯის ჩამოსასხმელ განყოფილებაში დღისით აკეთებს ქარხანა სხვა-და-სხვა ფორმებს, რომელთაც ღამით აშრობენ. გაშრობისათვის საჭიროა კარგი დიდი სითბო. ამ სითბოსათვის საღამოზით მილებში აწყობენ პატრუქებს, ზედ ასხმენ ნავთსა, უკიდებენ ცეცხლს და ასე მთელ ღამის განმაელობაში სითბო განუწყვეტელია ხოლმე ქარხანაში. 30 ივნისს თურმე შედარებით ბევრი დაესხათ ნავთი. როცა ნელ-ნელა გაუჯდა ცეცხლი პატრუქებს, მუშები წავიდ-წამოვიდნენ; ამ დროს უცებ იფეთქა ნავთმა და გახეთქა მილები, ამოვარდა ცეცხლი და მოეკიდა ხის-მასალას დიდის სიძლიერით.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოება აცხადებს, რომ ხარკოვის გამოფენის კომიტეტს შესაძლოდ უცვნია 1 აგვისტომდის კიდევ მიიღოს ცნობა ყველასაგან, ვისაცა სწადიან მონაწილეობის მიღება ხსენებულს გამოფენაში. სამეურნეო საზოგადოებას იმედი აქვს, რომ ჩვენი მწარმოებელნი ისარგებლებენ ამ ახალის ვადით და აჩქარდებიან გაგზავნონ გამოფენაზე თავიანთის ნაწარმოების ნიმუშები.

*** ჩვენ გვიამბეს მნახველთ, რომ 30 ივნისს, საღამოს ექვს საათზე, ტფილისს, ერთი ქართულად ჩაცმული დარბაისელი ქალი ჩამოჯდა სკამზე ალექსანდროვის ბაღში. ამ დროს მოდიოდა ერთი ვილაც სამოქალაქო ტანისამოსში ჩაცმული ახალგაზდა კაცი, რომელმაც, მოჰკრა თუ არა ქალს თვალი, გასწია მისკენ, მოუჯდა გვერდზე და დაუწყო ფრიად შეუსაბამო არშიყული ლაზღანდარობა. ქალმა რამდენჯერმე გააფრთხილა, გაუჯავრდა—მომშორდი თავიდამო. მაგრამ ამით რომ ვერას გახდა და მისმა მოსაუბრემ უარესები დაიწყო, მაშინ წამოდგა ქალი ფეხზე და ერთი-თუ-ორი შიგ ცხვირ-პირში. იმდენი სცემა არა-მკითხე მოარშიყეს, რომ სულ დაუსისხლიანა პირი-სახე. მხოლოდ ასეთის საშუალებით მოიშორა თავიდამ ეს უსიამოვნო ადამიანი, რომელმაც აიძუა კუდი და გასწია თავისკენ. ამ დროს ხალხიც მოგროვდა და პატიოსნურის თანაგრძნობით დაამშვიდა აღშფოთებული მანდილოსანი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ნახჩევნელებს მოუწადინებიათ სამაზრო სასწავლებელში გახსნან ცალკე განყოფილება, სადაც უნდა ყმაწვილებს ასწავლონ მეურნეობა. ამ წადილის უკედ აღსრულებისათვის გამოუგზავნიათ მცოდნე კაცი ტფილისში. ეს გამოგზავნილი კაცი დღეს იმყოფება აქა და უნდა დაწვრილებით შეისწავლოს ბ-ნის წინამძღვრიშვილის სკოლა, რისთვისაც ეხლა გაემგზავრება წინამძღვრიანთ კარში. უმთავრესი ყურადღება ნახჩევნელებისა მიმართულია თურმე ბამბის მოყვანასა და აბრეშუმის ჭიის მოვლაზე.

*** სოფ. წიფადამა გვწერენ: „რაც აქ დაიწყეს გვირაბზე მუშაობა, ჩვენს პატარა სოფელს მოაწყდა ძრიელ ბევრი უცხო ერის ხალხი—ინგლისელი გინდათ, იტალიელი, ბერძენი, თათარი, ოსი, ერთის სიტყვით, თითქმის ყველა მილეთისა. მომეტებულ ნაწილად სულ ახალგაზდა მუშა ხალხია. მათში უფრო ბევრი ჯვარ-დაუწერელია და ვინც ცოლ-შვილის პატრონია, იმას თან არ წამოუყვანია სახლობა. შედეგი ამისი არის ისა, რომ მუშები ძალიან მუშტრის თვალით უყურებენ აქაურ ქალებს, გათხოვილებს თუ გაუთხოვრებს. ქართველი ქალი გათქმულია თავ-დაჭერილობით. წიფელ მკვიდრთ დიდი იმედი აქვთ, რომ აქაური ქალები არც თითონ დაისხმენ თავზე ლაფსა და არც თავიანთ სახლობას შეარცხვენენ, მაგრამ საქმე ის გახლავსთ, რომ უცხოელი მუშა-ხალხი ძალიან დიდს მეცადინეობაში არიან, როგორმე მიაჩვიონ ხალხი გარყვნილებას და წაპილწონ ნამუსიანი და თავ-დაჭერილი სოფელი. აი, მაგალითად, იმ დღეს, 27 ივნისს, ერთმა ბერძენმა გაიტყუილა წიფელი გათხოვილი ქალი, ვითომდა რაიმე საქმისათვის. რომ კარგა მოაშორა სოფელს, ამ დროს ხალხმაც შეასწრო თვალი. ასტყდა ერთი წივილ-კივილი, ვაი-ვაგლახი. წიფელები, ქალი თუ კაცი, გამოუდგნენ ამ ბერძენსა და, ვინ იცის, რა უბედურება დატრიალდებოდა, რომ ბერძენი მარჯვე არა ყოფილიყო სირბილში: დაინახა თუ არა, რომ შემიტყეს ეშმაკობა და გამომიდგნენო, დაჰკრა ფეხი და გაიქცა ვახტანგის ქედით ქიზიყისაკენ. ამ შემთხვევაში ქალი გადურჩა გაუპატიურებას და ბერძენი დიდს დაეიდარაბას, თუ სიკვდილს არა.

„დიდად საჭიროა ამისთანა გარემოებაში ხალხის თავ-დაჭერილობას მოეშველოს მთავრობა და გაუმართოს აქაურ მკვიდრთ ხელი, რომ ზნეობის სიწმინდე და ნამუსი წიფელ ქალთა დარჩეს ხელ-შეუხებელი და შეუბღალველი და რომ ზნე-დაცემულობამ არ გაიდგას ფეხი იმისთანა სუფთა სოფელში, როგორიც არის წიფა თავისის მანდილოსნებით.“

*** 30 ივნისს რეუტოვის ქუჩაზე ხამთო ინჟენერის ანდრია ვლადიმერის-ძის კონრადის სადგურიდან მოუპარავთ ვერცხლის კოვზები 45 მანათისა. ქურდი ყოფილა კონრადის მზარეული, ნუხის მცხოვრებელი მიკირტიჩ გალუსტოვი, რომელიც დაუჭერიათ. გამოძიება სწარმოებს.

*** ყორღანოვის ქუჩაზე პოლიციის პირველ განყოფილებაში, 30 ივნიისს, უპოვნიათ ახლად დაბადებული ბავშვი-ქალი და გაუგზავნიათ საბებიო ინსიტუტში.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ევროპაში დიდი ხანია, რაც ბევრსა ლაპარაკობენ იმაზე, რომ ქალებს ისეთივე საარჩევანო უფლებანი მიენიჭოთ, როგორიც კაცებსა აქვთ და საზოგადოდ ქალს ისევე უცქეროდეს კანონ-მდებლობა, როგორც უცქერის კაცს. ამ გვარმა ლაპარაკმა ზოგან საკმაო ნაყოფი გამოიღო, ზოგან-კი ჯერ-ჯერობით ქალების საქმე ისევ ფეხ-აუდგმელია, მეტადრე იქ, საცა მამაკაცებსაც-კი ძალიან მცირე საპოლიტიკო უფლებანი აქვთ მინიჭებული.

ამერიკის შემდეგ ქალების განთავისუფლების საქმეო, ამბობს გაზეთ „Рус. Вѣд.“-ი: ინგლისში უფრო მაგარს ნიადაგზეა დამკვიდრებულიო. ამ ქვეყანაში ისე მოსურვებულია საზოგადოება, გაათანაბაროს და გაათანასწოროს პოლიტიკურად ქალი და კაცი, რომ ადრე თუ გვიან ეს საქმე გაიმარჯვებსო.

---

— ექიმო, აღარ გახსოვართ?

— ოჰო!—წამოიძახა ექიმმა ალერსიანის ღიმილით: შენა ხარ, ელენე? გეზზედ იჯექი?

— დიაღ, თქვენს ახლოს გახლდით.., მაგრამ ვეღარ შეგაწუხეთ...

— შეგაწუხეთო! რას ამბობთ! ძალიან სასიამოვნოა! რამდენი წელიწადია აგერ, არ მინახვიხართ, როგორა ხართ, როგორა სცხოვრებთ, ჩემო ელენე?

უწინ ექიმი ნეგროტტი შენობით მელაპარაკებოდა; ეხლა, რასაკვირველია, თავაზიანობდა.

ჩვენ ერთად მოვდიოდით, ერთი გზა გვქონდა. მე ვუამბე ჩემი გარემოება, ჩემი მარტოდ დარჩომა და ტფილისში წასვლის სურვილი ძმასთან საცხოვრებლად.

— რას ამბობთ, რას მელაპარაკებითო!—წამოიძახა ექიმმა: მერე გახსოვთ-კი ოდოარდო? სულ პაწაწა იყავით, როცა ის წავიდა თქვენგან.

— დიაღ, 1886 წ. წავიდა ხუთი წლისა ვიყავ მაშინ.

— დიაღ, დიაღ. ოდოარდო თხუთმეტის წლით უნდა იყოს თქვენზე უფროსი.

— თექვსმეტის წლით გახლავსთ.

— ჰო, თექვსმეტით!.. ოდოარდო ეხლა ვეებერთელა ვაჟკაცი უნდა იყოს... როგორ გარბის დრო. მშვენიერი ყმაწვილი იყო ოდოარდო, ცქვიტი, ცოცხალი, ცელქი... საშინელი ცელქი იყო.

მე არაფერი ვსთქვი-რა. მომაგონდა, რამდენს ცრემლებსა ჰღვრიდნენ ჩემი მშობლები იმის გამო, რომ ოდოარდო ჩვენთან არა სცხოვრებდა.

— არც ავი და ბოროტი ყმაწვილი იყო, მართალი რომ სთქვას კაცმა,—განაგრძო ნეგროტტიმ. თავისუფლება უყვარდა საშინლად და დარიგება ეჯავრებოდა... ეტყობა, ბევრი უვლია, უმოგზაურნია.

— ო, ძალიან ბევრი, სულ სამი წელიწადია, რაც ტფილისში დასახლებულა, 1883 წლიდგან.

— აქ, ვენეციაში-კი ჯერ არა ყოფილა?

— არა.

ექიმი ჩაფიქრდა.

— დაცოლშვილიანებულია?

— არა

— მესმის, თქვენ ალბად სხვა ბინა, სხვა თავ-შესაფარი არა გაქვსთ...

— არა მაქვს, ექიმო, არა... მაგრამ, ექიმო,—წამოვიძახე უეცრივ—ნურაფერს დამიმალავთ, გულ-ახდილად მელაპარაკეთ: იქნება დიდს სისულელეს ჩავდივარ, რომ ძმასთან ვაპირებ წასვლას?..

— არა, არა, საყვარელო ელენე... მეც რომ თქვენს ადგილასა და თქვენს მდგომარეობაში ვყოფილვიყავ, მეც აგრე მოვიქცეოდი. ამასთან თქვენ ჭკვიანი და მოხერხებული ქალი ხართ; თუ იქ არ მოგეწონებათ და ვერ მოეწყობით—ადვილად დაჰბრუნდებით სამშობლოშივე.

თავი გავიქნიე.

— არ დავბრუნდები...

გული ამომიჯდა.

ექიმმა სიარულს მოუკლო; მივუახლოვდით ერთს ვიწრო შესახვევს ქუჩას და ექიმმა ერთი სახლი დამანახვა.

— აი მე აქ უნდა შევიდე. თქვენ ხომ ჯერ არ აპირებთ წასვლასა. ვუთხარი, რომ ამ თვის დამლევამდე კიდევ დავრჩები-მეთქი.

— მაშ, იმედი მაქვს, კიდევა ვნახავთ ერთმანეთს,—განაგრძო ექიმმა. შემოიარეთ როდისმე საღამო ხანზედ ჩვენსა. ჩემი ცოლი სიამოვნებით მიგიღებთ... ერთმანერთში მისვლა-მოსვლა გვქონდა, როცა თქვენი ცხონებული დედა ცოცხალი ბრძანდებოდა.

დავპირდი, შემოვივლი-მეთქი, მაგრამ არ წაველ. ექიმის ცოლი მეტისმეტად ამაყი ქალია, რომელიც სიღარიბის დროს ახლო აღარ მოგვეკარა; ისე მიმიღებს, თითქო მოწყალებას მაძლევდესო. ასე მგონია, რომ ვერასოდეს ვეღარა ვნახავ ექიმსა-მეთქი; კიდევ კარგი, რომ დღეს შემხვდა.

საკვირველია! ჯერ სამშობლოდგან არ გავსულვარ და რამდენი ადამიანი მშორდება და რამდენს ვეღარა ვნახავ. უცხო კაცებზედაც-კი ძნელია ადამიანმა სთქვას, რომ უკანასკნელად ვხედავ და აღარა ვნახავო!

ძალიან შემაფიქრა ექიმ ნეგროტტიმ რომ მკითხა, ოდოარდო დაცოლშვილიანებულია თუ არაო. მართლაც და, ვინ დამარწმუნებს, რომ ერთს მშვენიერს დღეს ჩემი ძმა ცოლის შერთვას არ მოიწადინებს? მაშინ რაღა მეშველება, რა მომელის?

კვირა, 6 ივნისი.

დღეს ოც-და-ხუთი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც კავური გარდაიცვალა და ამას გარდა იტალიის განთავისუფლებისა და შეერთების დღესასწაულია!.. უკანასკნელად უნდა დავესწრო ამ დღესასწაულს. ამას იქით ბარბაროსებთან უნდა ვიცხოვრო და ძნელად მოვიგონებ, თუ ვინ იყო კავური და რას ჰნიშნავს ჩვენი ნამდვილი საერო დღესასწაული—იტალიის განთავისუფლებისა და შეერთებისა. ოჰ, ბაირაღებო, მშვენიერო სამ-ფეროვანო ბაირაღებო! დღეს დაგინახეთ წმ. მარკოსის გუმბათზე გაფრიალებული... და ვერასოდეს, ვერასოდეს ვეღარა გნახამთ...

ვინ იცის, იქნება თვითონ პოლკოვნიკს სტრუცცისაც ასე ჩემსავით ჩასთუთქოდა გული, სამუდამოდ რომ წასასვლელი ყოფილიყო იტალიიდგან, სამშობლოდგან.

დღეს ზარბაზნები გრიალებდნენ სანჯიორჯიოში და პოლკოვნიკი კიდევ თავის ოთახში ღრიალებდა, ჯავრობდა: ტყუილად წამალს რადა ჰხარჯავენ, ზარბაზნებს რადა სცლიან მთელს ნახევარ-კუნძულზეო. უჯავრდებოდა და ჰლანძღავდა თავის თავს, რომ აქამდე როგორ ვყვებოდი ამ სულელებსა და დღევანდელს დღეს სადღესასწაულოდ მოვირთვებოდი ხოლმეო. ეხლა-კი ვინც უნდა ჩამოიკანტუროს ხმალი და ინდაურივით გაიფხვიროს: მე აღარა მსურს თავი დავუკრა ხოლმე იმ უსუსურს აფიცრებს, რომელნიც ბუზებივით დაძვრებიან მერჩერიის დუქნებსა და პიაცცოს ყავახანებშიო.

ჯეჯია, პოლკოვნიკის გულის-მოპასუხე და მსმენელი, სტრუცცას ოთახიდგან გაშტერებული გამოვიდა და მითხრა:

— სინიორინა, დამერწმუნეთ, რომ ეს კაცი საგიჟეთში დაჰლევს სულსა; ამის ბოლო ეს არის.

გაგიჟდება თუ არა, არ ვიცი, მაგრამ იმას-კი ეჭვი არა აქვს, რომ ყველა გამოსულელდება, ვინც-კი პოლკოვნიკთან იცხოვრებს. მართალს ამბობენ: ნეტავ იმას, ვისაც მშვიდი და წყნარი ხასიათი აქვსო.

დღეს ჩემთან ჯემმა ნორინი იყო, ჩემი მეგობარი ქალი: მე და ის სასწავლებელში ერთადა ვსწავლობდით. ეხლა ნორინი მასწავლებლად არის ერთს სამრევლო სასწავლებელში და ისეთივე მხიარული და გულ-ღია ხასიათი აქვს, როგორიც ჰქონდა სასწავლებელში პატარაობისას.

გაეგო ჩემი ამბავი და საყვედური მითხრა, რატომ მე-კი არ მითხარ, რომ ტფილისში აპირებ წასვლასაო; მაინც იმედი მქონდა, რომ ჩემ გამოუთხოვებლივ არ წახვიდოდიო. მაშ, მართალია, ტფილისში მიდიხარ! აი, გაბედულობაც მაგასა ჰქვიანო!.. მოიგონა სასწავლებელი და სანაძლეოს მიდებდა: დავენაძლევდეთ, რომ მე შენზედ ბევრი ვიცი იმ ქვეყანაზედ, სადაც წასვლას აპირობო.

— საკვირველი არ არის, რადგან მე სულ არა ვიცი-რა.

— მაშ მე გაგანათლებ და გასწავლი, უმეცარო,—სთქვა ნორინმა:— მართლა! ჩვენის სასწავლებლის დირექტორ-ქალს ძმის-წული ხოლერით გაუხდა ავად! ხოლერისაგან-კი რჩებიან ავადმყოფები, მაგრამ შემდეგ იმ წამლების გამო იხოცებიან, რომელიც ავადმყოფობის დროს დაულევიათ... დამავიწყდა, დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს: იქნება არ იცოდე, რომ უნდა წახვიდე იმიერ-კავკასიაში, რუსეთის აზიის დასავლეთ ნაწილში?

— მხოლოდ ის ვიცი, რომ კა

გაზეთი მოგვითხრობს, რომ ამ დღეებში ქალების საქმის თაობაზე კრება იყო ქალების სამოქალაქო უფლებათა დამცველის სანაციონალო საზოგადოებისაო. ამ საზოგადოების თავ-მჯდომარემ დეპუტატმა ვუდალმა მიჰმართა კრებას რომელზედაც უმრავლესობა ქალები იყვნენ და სთქვა შემდეგი:

„ჩვენის ქვეყნის კანონებსა და სჯულდებას ბევრი უცნაური თვისება შერჩენია ძველადგანვე. ერთი ამ გვარი თვისებაა, სხვათა შორის, ისა, რომ ვინც სრულის სამოქალაქო უფლებით უნდა იყოს მოსილი, ვისაც აქვს საკუთრება, იხდის სახელმწიფო გადასახადსა და ბაჟს, მოკლებულია საარჩევანო უფლებასა და მოკლებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გვარი ხალხი დედაკაცები არიან. ქალებს ხმა აქვთ სასკოლო და საქალაქო საბჭოში, ჯან-მრთელობის მზრუნველთა კომიტეტებში. ქალებს ირჩევენ სხვა-და-სხვა გვარ თანამდებობათათვის და ყველგან საკმაო ცოდნაც გამოიჩინეს და მხნეობაცა; მაშ რაღა მიზეზია, რომ საპოლიტიკო უფლებანი გამოწირული აქვთ ქალებსა?

შემდეგ დეპუტატმა ვუდალმა სთქვა, რომ ქალი კაცს სრულიადაც არ დაუვარდება ჭკუითა და გონებითაო. ამისი მაგალითი ბევრია. ამ დღეებში კემბრიჯის უნივერსიტეტში ერთმა ქალმა ყველა სტუდენტებზე კარგად დაამთავრა სწავლაო, მეორემ ძველს ენებში უფრო მეტი ცოდნა გამოიჩინა, ვიდრე სხვა მოსწავლეთაო.

**

ასე კარგად არ მიდის ქალების საქმე სხვა ქვეყნებში, თუნდა, მაგალითად, ავსტრიაში. იქ არამც თუ საპოლიტიკო და საარჩევანო უფლების მინიჭება არ უნდათ ქალებისათვის, არამედ ლამის ის უფლებაც წაართვან, რაც დღემდე ჰქონდათ. საქმე იმაშია, რომ ავსტრიის საერო განათლების სამინისტრო დიდს ფიქრშია თურმე იმის თაობაზე—ნება მიეცეთ კვლავაც თუ არა მასწავლებლსა და აღმზრდელს ქალებს, რომლებიც გათხოვილები არიან, მასწავლებლობა და აღმზრდელობა გასწიონ ქალების სასწავლებლებშიო.

ამ საგნის განსახილველადაო, ამბობს გაზ. „Новости“: შესდგა კრება მასწავლებელ ქალების საზოგადოებისა და ძალიან გაცხარებული ლაპარაკიც ასტყდაო.

ზოგს ქალს ძალიან მოსწონებია სამინისტროს განზრახვა, ზოგს წინააღმდეგი აზრი გამოუთქვამს. აი რა უთქვამს ერთს ქალს სამინისტროს სასარგებლოდ:

სამინისტროს აზრი საფუძვლიანი აზრია. გათხოვილს ქალს არ შეუძლიან მთელი თავისი ძალა და ღონე ყმაწვილების სწავლების საქმეს მოახმაროსო: მისივე შვილები უფრო მეტად საზრუნველი იქნება, ვიდრე ის „უცხოთა შვილნი“, რომელთაც უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა. სულ სხვაა გასათხოვარი ქალი; გასათხოვარს ქალს შეუძლიან ისე შეიყვაროს უცხოთა შვილები, როგორც საკუთარს მშობელს, და მარტო ამ ნაირი ქალი შესწირავს თავსა სწავლებისა და აღზრდის საქმესაო.

მეორე მასწავლებელ-ქალს არ მოსწონებია ეს ლაპარაკი თავის ამხანაგისა.

მე მგონიაო, უთქვამს იმას, რომ ყოველი მასწავლებელი ქალი, უპირველეს ყოვლისა, კაცია, ადამიანია. ძალის დატანება ქალისა, ნუ გათხოვდებიო, დიდი დანაშაულობაა ბუნების კანონების წინაშეო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისეთი კანონი, რომელიც აუკრძალავს ქმრიან ქალებს საპედაგოგიო საქმესა, ძალიან მავნებელი იქნება მასწავლებელ-ქალთათვისაო. 100 ქალს რომ უთხრა, აირჩიე: მასწავლებლობა და პედაგოგობა უფრო გინდა, თუ გათხოვება, 99 ქალი გათხოვებას ირჩევსო. ვიდა წავა ხეირიანი მაშინ მასწავლებლადა და ან მასწავლებლობა და სკოლა მონასტერი ხომ არ არისო?!

ამ მეორე ქალსავითვე უღლაპარაკნია ერთს სახელ-განთქმულს პედაგოგ-ქალსაც.

ზნეობაზე ლაპარაკი მინისტრისა ამ შემთხვევაში შეცდომად მიმაჩნიაო, უთქვამს ამ ქალს. ზნეობას უფუჭებენ მოსწავლე შეგირდებს თავიანთის ქცევით უფრო ხნიერი და ყმაწვილი გასათხოვარი ქალები, ვიდრე ქმრიანი ქალებიო. მინისტრმა ჰნახა ერთხელ ორსული დირექტორი-ქალი და საშინლად გაოცდა, მაგრამ განა მოსწავლე ქალები მუდამ არა ხედავენ თავიანთ ორსულ დედებსა, მამიდებსა ნათესავსა და ნაცნობებსა. განა ისა სჯობიან, მოსწავლე ქალებმა ჩუმად შეიტყონ ხოლმე, რომ იმათი გასათხოვარი მასწავლებელი ქალები უკანონოდ სცხოვრობენ კაცებთანაო? მეორეც, ქმრიანი მასწავლებელი ქალები ხომ მუდამ ორსულები არ არიან და ან განა ყველა ქმრიანი უსათუოდ ორსულდებაო?

ქმრიანების მომხრეებმა გაიმარჯვეს თურმე და დაადგინეს, ვსთხოვოთ მინისტრს ამ საგანს მსვლელობა აღარ მისცესო.

**

მაგრამ ავსტრიაში კიდევ არაფერი. გერმანია უფრო შორს წასულა. საქსონიის მინისტრს საერო განათლებისას შეუდგენია მოხსენება, რომ ქალების სასწავლებელში უცოლო ყმაწვილ-კაცებს ალაგი არ უნდა მიეცეთო. მინისტრი თავის აზრს ამტკიცებს სხვა-და-სხვა მოსაზრებითა:

უცოლო ყმაწვილ-კაცსაო, უთქვამს მინისტრს, ეტრფიალებიან და ეარშიყებიან ყმაწვილი მოსწავლე ქალებიო და ბოლოს საქმე იქამდე მიდის, რომ თავიან საცემ საგნად იხდიან მასწავლებელს და სიყვარულით აღგზნებულთ სულ ავიწყდებათ თავიანთი მოვალეობაო.

ამასთანავე მინისტრს წარმოუდგენია დიდ-ძალი საარშიყო წერილები, მიწერილი მოსწავლე ქალებისაგან ერთს ახალგაზდა მასწავლებელთან და წარმოუთქვამს დიდი სიტყვა ქორწინების სიწმინდეზე. მოხსენება შეუწყნარებია მთავრობას და დღეს საქსონიის სასწავლებელში წამლადაც აღარ იარება თურმე უცოლო მასწავლებელი. ვინც უცოლოთაგანი ყმაწვილი-კაცი ითხოვს თურმე მასწავლებლის ადგილს, საქალებო სასწავლებელში იმას ასე ეუბნებიან: «თუ ალაგის მიღება გინდათ, ცოლი შეირთეთო».

## რუსეთი

— ეს მესამე წელიწადია, რაც პეტერბურგის ექიმების საზოგადოებამ (Врачебная община) დაარსა სადგური, სადაც ისინჯება ყოველივე ხორაგეულობა. ამ ჟამად სადგურზე მუშაობს რვა ექიმი და სინჯავს სხვა-და-სხვა საჭმელ-სასმელ საგნებს, ყალბი ხომ არა არის-რაო. ამ გამოკვლევას აღმოუჩენია, რომ ვაჭრები მრავალ ბოროტ-მოქმედებასა სჩადიან. სხვათა შორის აღმოუჩენიათ: გირვანქა ექვს აბაზიან ჩაიში მარტო ერთი მეხუთედი ნამდვილი ჩაი (15—20%) ურევია, დანარჩენი კი სულ ნახარშს ჩაის და გარეშე ნივთიერებას შეადგენსო. რვა აბაზიან ჩაის ასურნელოვანებენ. ერთს ბოთლს რძეში ორ ბოთლს წყალს ურევენ თურმე და სახამებლით ანუ სხვა გვარ ნივთიერებით ჰღებავენ და აზავებენ. ამ გვარი რძე ძრიელ მავნებელია ყმაწვილებისათვის, მით უფრო, რომ აყროლებულ ჭის წყალს ურევენ. სუყველაზე ბევრი ყალბობა შეუმჩნევიათ ღვინის გასყიდველებისათვის. ღვინის ყალბობის გამოსაკვლევად ეს სადგური აპირობს გამოგზავნოს კავკასიაში თავისი ქიმიკოსი.

— პეტერბურგის უმთავრესს გამგეობას „წითელის ჯვრის საზოგადოებისას“ გაუგზავნია ორი ათასი თუმანი „სტეპნოი“ გენერალ გუბერნატორისათვის დასახმარებლად მცხოვრებელთა, რომელნიც ქალაქს ვერნოში მიწის ძვრის გამო უბედურებასა და გაჭირებაში ჩავარდნენ.

— რუსეთის გაზეთები გვაუწყებენ, რომ ცნობილი პუბლიცისტი ბ-ნი მ. ნ. კატკოვი, რედაქტორი „Моск. Вѣд.“-სა, ეხლა ძრიელ ავად არისო. ბ-ნი კატკოვი სცხოვრებს თავის მამულში, ზნამენსკაში, მოსკოვის ახლო. უკანასკნელ შეწუხების გამო დეპეშით პეტერბურგიდამ დაუბარებიათ ბ-ნ კატკოვის შვილი და სიძე.

— მომავალ სასწავლო წელში პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში მარტო 30 ყმაწვილ-კაცს მიიღებენ.

— 25 დეკემბერს 1884 წ. უმაღლესად ნაბძანები იქმნა, რომ სუყველა შენობები ნიჟნი-ნოვგოროდის იარმუკისა მოავჭრეთ მიეცეთო, და თავის დროზედ ეს ბრძანება აღსრულებაში მოყვანილ იქმნა. მხოლოდ იარმუკის ცოტა მოშორებით ხაზინამ 1866 წელს ააშენა ქვითკირის დუქნები სპარსელ ვაჭართათვის. ახლა მთავრობას უბრძანებია—ეს დუქნები სპარსელ ვაჭრებს მიეცეთო.

— ამ ივლისის პირველიდამ შემოღებულ იქნება ახალის სახის თამასუქები და ღერბის ქაღალდები.

— კიევში გამოჩენილა ერთი ძრიელ ბეჯითი კაცი, რომელიც მიდის თურმე ყოველ თვეის პირველს პოლიციაში და სტოლზედ არზასა სდებს. აი ეს ერთი წელიწადია, რაც ამ კაცს განუწყვეტლივ არზები მიაქვს. სუყველა არზები ერთისა და იგივე შინაარ-

---

სიაში მივდივარ და კავკასია რუსეთის სამფლობელოა... ჰო, ხოლერის გამო თქვენს სასწავლებელში სწავლა მოისპო.

— არა, რადა? დირექტორ-ქალის ძმის-წული სასწავლებელში არა სცხოვრებს... დაიცა ერთი, ნუ-კი გადამრევ ახლა. იმიერ-კავკასია მდებარეობს კავკასიის სამხრეთით, შავისა და კასპიის ზღვის შუა და არის რუსეთის სამფლობელოს მეორე ნაწილი; მცირეა პირველზედ, მაგრამ უფრო გაცილებით მდიდარია ბუნებით.

გადავიკასკასე.

— კარგა მასწავლე შენმა მზემ! პირველი? პირველი რაღა არის?

— რომელი პირველი?

— როგორ თუ რომელი? კარგი თუ გინდათ, ეს არის! რა არის ის პირველი ნაწილი რუსეთის სამფლობელოსი, რომელიც თუმცა უფრო დიდია იმიერ-კავკასიაზედ, მაგრამ ბუნების სიმდიდრით-კი ჩამოუვარდება.

— მართალს ამბობ, სულ გადამავიწყდა. მაგრამ ნუ გეშინიან, თანაშემწე აქა მყავს.

ჯემმიმ ჩიბეში ჩაიყო ხელი, ამოიღო წიგნი: „ახალი სახელმძღვანელო გეოგრაფიისა“, კომბის შედგენილი და პარავიას გამოცემული, გადაფურცლა, დახედა მე-243 ფურცელს და შუბლზე თითი მიიდო.

— რა სულელი ვარ, ველარ მოვისაზრე: პირველი ნაწილი ციმბირია... აბა წიგნი გამომართვი და უყურე, კარგად ვიცი თუ არა.

— შე ცელქო, შენა! ისეთივე კარგი მეხსიერება გაქვს, როგორიც ადრე გქონდა?

— ისეთივე. ყური უგდე, იქიდგანვე ვიწყობ, სადაც შევდექი. მეორე ნაწილს, ე. ი. იმიერ-კავკასიას უკანასკნელს ომის დროს მიემატა სამი პროვინცია: ყარსი, არდაგანი, ბათუმი, რომლებიც დაპყრობილ იქმნა...

— მერე, მერე... ეგ საჭირო არ არის.

— მერე რაღა,—გინდა გითხრა, თუ რა ჰავისაა იმიერ-კავკასია? მაშ აჰა: ჯან-საღი, მშვენიერი ჰავა აქვს, ნიადაგი ძალიან ნაყოფიერია, ყველა, რაც-კი შუა-გულ ევროპაში მოდის, იქაცა ხარობს...

— მერე! ტფილისი?

— ამ წუთას: ტფილისში სულ მცხოვრებლების რიცხვი სამოც-დაერთი ათასია; დედა-ქალაქია საქართველოსი, შუა და უმთავრესი სავაჭრო ადგილია რუსეთისა და სპარსეთის შორის. ტფილისში სცხოვრებს მთავარ-მართებელი... კარგად ვიცი?

— მშვენივრად.

— კიდევ დავუმატებ ზოგიერთს ცნობებს, რომელიც სხვა წიგნში ამოვიკითხე. ტფილისი მდ. მტკვრის ნაპირასა მდებარეობს და ბევრი თბილი გოგირდის წყლები აქვს; ამიტომ ამ ქალაქს ტფილისს ეძახიან, ე. ი. თბილის წყლის ქალაქს... ეს სამივე სიტყვა ერთს სიტყვაშია მოთავსებული: ტფილისი! აბა, რას იტყვი, ვიცი ყველაფერი თუ არა?

— გენიოსი ხარ სწორედ, გენიოსი!

— გეოგრაფიას ყოველთვის კარგა ესწავლობდი,—ისე-კი არა, როგორც საბრალო მარტინეტტი... გახსოვს?

— როგორ არა. მართლა, სად არის ეხლა მარტინეტტი?

— გუშინ შემხვდა. ვკითხე—ტფილისში მიდიხარ-მეთქი და იმან დამიყვირა, რომ „ამერიკაში მივდივარო“.

— კაი ამბავია. რას აკეთებს? არტისტ-ქალად უნდოდა თეატრში შესვლა...

— დიაღ, და მღერასა სწავლობდა კიდეც მარჩელლოს გიმნაზიაში; თითონ ვერ ისწავლა და ეხლა-კი სხვებს ასწავლის.

— საკვირველი მხიარულის გულისა ხარ! ლამაზად მოაწყობ ხოლმე სიტყვებს... მაშ მარტინეტტი ეხლა მასწავლებლად არის.

— ჰო სიმღერის მასწავლებლად, საათში მანათს იღებს.

ჯემმა დაიწყო ტიკტიკი, მოიგონა ძველი დრო, როცა სასწავლებელში ერთად ვიყავით, ყველა ამხანაგები მოიგონა, ისინიც-კი, რომელნიც გარდაიცვალნენ, წავიდნენ იტალიიდგან, დაიკარგნენ და სასწავლებლის შემდეგ აღარ გვინახავს...

ბოლოს ხელი ჩამომართვა და შინ წასვლა დააპირა.

— ახ,—ვსთქვი მე:—შენც რომ წამომყოლიყავ ტფილისში! შენთან ადვილად ავიტანდი სამშობლოს მოშორებას, არ მოვიწყენდი...

ჯემმა ჩვეულებრივის ხუმრობით მიპასუხა:

— წავიდეთ, რა არის, მეც წამიყვანე. შენი ძმა ჩემზედ ჯვარს დაიწერს და ერთად ვიცხოვრებთ. რას აკეთებს იქა?

— მაშ ტფილისიდგან წერილს მოგწერ და წამოდი.

— არა, არა,—განაგრძო ჯემმა, თითქო თავის თავს ელაპარაკებაო:— შენი ძმა მე არ შემირთავს... და მერე იქ, სადაც სულ ქართველი ქალები არიან. ამბობენ, ეს ქართველი ქალები მთელს დედა-მიწაზედ ყველაზედ მშვენივრები არიანო და მე-კი ჰლერქსა ვგევარ.

— მართალია, მაგრამ რა ვუყოთ, განა ყველანი ხორც-სავსე და მსუქანს ქალებზე იწერენ ჯვარსა.

— ეჰ, რაც გახდება, გახდება, სულ არ გავთხოვდები, ბებერ-ქალად დავრჩები... „ოჰ, წმინდაო ჯემმა, ქალწულო და წამებულო!“... მეტი რა გზა მაქვს. ღმერთმა დამიფაროს, რომ მეც ლუჩია მაცცოლასავით გავთხოვდე, რომელიც ხმელს პურსა სჭამს მთელი დღე და წელიწადში-კი ორ-ორსა ჰშობავს...

— რა მიჭკარავ, რა ექნა! ორ-ორი წელიწადში?...

— თითქმის. წახვალ იმასთან?

— რასაკვირველია, ვნახავ, გამოვეთხოვები. ერთხელ ძალიან დიდი მეგობრები ვიყავით... ეხლა ის ვენეციის ბოლოში დგას, მე თავში... წასვლამდე უეჭველადა ვნახავ.

— ერთს ხროვა ყმაწვილებს მოგაგებებს წინ.. მშვიდობით, მშვიდობით... არა, ნახვამდის.

— ჰო, ჰო, ნახვამდის!

ყველას სულ იმას ვეუბნები: ნახვამდის-მეთქი... მაგრამ დრო-კია ჩემს ნაცნობებს ჩამოვუარო და გამოვემშვიდობო: თორემ შემდეგ ველარ მოვასწრობ.

---

ბუცენტავროს საზოგადოებამ სეირნობა გამართა; ამან ცოტა არ იყოს გაამხიარულა დანაღვლიანებული ხალხი. ამ საზოგადოების წევრნი, ახალგაზდა ყმაწვილ-კაცები, გუნდ-გუნდად დაიყვნენ და მთელი ქალაქი მოიარეს საყვირითა. წვიმა მოდიოდა. საყვირის ხმაზედ ყველანი ფანჯრებში იხედებოდნენ, ქუჩაზე გამოდიოდნენ და გამოჰქონდათ ფული, ტანისამოსი; ყველაზედ უღარიბესნიც-კი სწირავდნენ ხოლერით დაზარალებულებს, რაც-კი შეეძლოთ... საშინელი ხალხია! მზად არის, რომ უკანასკნელი ტანისამოსიც-კი გაიხადოს და სხვას მისცეს და ამასთან არც ხელის გაშვერისა და მოწყალების თხოვნისა შერცხვება...

პოლკოვნიკი სტრუცცა შინ არ იყო, როცა ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ ფულის მოსაგროვებლად ჩვენს ქუჩაზედ ჩამოიარეს. არც ქალაქში იყო: პადუაში წავიდა და საღამოს მატარებლით დაბრუნდა უკან,—მაშინ, როცა „ტაკი-მასხარობა გაათავესო“, როგორც თითონ უთხრა ჯეჯიას.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

სისაა: „გთხოვთ ჯეროვანი განკარგულება მოახდინოთ, რომ ამას იქით ორმა ქალმა აღარ შემაწუხონ და აღარ დამეცნენ. ეს ქალები სულ ქუჩებში დაიარებიან და ხალხს აწუხებენო." სწორედ თთვისა-და თთვის თავზედ ეს კაცი განუწყვეტლივ დადის თურმე პოლიციაში ამ გვარისავე არზით. ეს საწყალი ჭკუიდამ შეშლილი გამომდგარა.

# უცხოეთი

ბოლგარია. რუსეთისა და უცხოეთის გაზეთები ჯერ-ჯერობით განსაკუთრებით ეგვიპტის კონვენციაზე და ბოლგარიის მთავრის არჩევაზე ლაპარაკობენ. თუმცა გაზეთები სცდილობენ გამოიცნონ, თუ რითი უნდა დაბოლოვდეს ეს საგნები, მაგრამ ძნელი სათქმელია, დაამტკიცებს თუ არა სულთანი კონვენციას და ამით ნებას დაჰყვება ინგლისს და აღიარებულ იქნება თუ არა კობურგის პრინცი მთავრად. დამტკიცდება თუ არა კონვენცია, ორსავე შემთხვევაში ევროპის პოლიტიკის მშვიდობიანს მსვლელობას ჯერ-ჯერობით გზაზე კიდევ ერთი ლობე-ყორე დახვდება. იგივე ითქმის ბოლგარიის მთავრის არჩევაზედ. არავინ იცის დაბეჯითებით, თუ როგორ შეჰხედვენ კობურგის პრინცის არჩევას ზოგიერთნი სახელმწიფონი. იკისრებს თუ არა კობურგის პრინცი მთავრობას, ორსავე შემთხვევაში ევროპის პოლიტიკის მდგომარეობა საძნელოა. თუ პრინცი კობურგისა იძულებული იქმნა სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ზედ-მოქმედების გამო მთავრობაზედ უარი სთქვას, მაშინ ევროპამ კიდევ უნდა დაატრიალოს პოლიტიკის ჩარხი და რაიმე ნაირად დააბოლოვოს დაუბოლოვებელი საქმე. ზოგიერთი რუსეთის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ რუსეთი შეიძლება დასთანხმდეს კობურგის პრინცის მთავრად არჩევასაო, თუ რომ მიღებულ იქმნა რუსეთის ზოგიერთი წინადადებანიო; ზოგნი-კი იმას ამბობენ, რომ რუსეთი ვერ იცნობს კანონიერად კობურგის პრინცის არჩევას, რადგანაც რუსეთის აზრით თვით ბოლგარიის საერო დიდი კრება უკანონოაო. აი რას ამბობს გაზეთი „Новое Время" კობურგის პრინცის არჩევის შესახებ: შეუძლებელი საქმეა, რუსეთი დასთანხმდეს ამ გვარს არჩევანზე, მით უფრო, რომ არჩევა მოახდინა ისეთმა კრებამ, რომლის უკანონობა რუსეთმა მტკიცედ აღიარა. ბოლგარიის ერის ცრუ-წარმომადგენელთა, როცა იგინი მთავრად ირჩევდნენ კობურგის პრინცსა, დაარღვიეს ის მუხლი კონსტიტუციისა, რომლის ძალითაც მხოლოდ პირველი მთავარი ბოლგარიისა შეიძლება იყოს არა მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა.

„ამიტომაც გერმანიელ პრინცის არჩევა მხოლოდ პოლიტიკურ ხრიკად უნდა ჩაითვალოს. ამ ხრიკის მნიშვნელობა ჯერ-ჯერობით ძნელად გამოსაცნობია, მაგრამ შესაძლებელია რუსეთმა მკლავი გამართოს და იმ ქცევას თავი დაანებოს, რა ქცევითაც დღემდის ეპყრობოდა ბოლგარიის საქმეს. პრინცი ფერდინანდ კობურგისა დიდს გაბედაობას გამოიჩენს, თუ რომ მთავრობა იკისრა ამ გვარ პოლიტიკურ გარემოებათა შემხედვარემ.

„მან კარგად იცის, თუ რა მოუვიდა ავსტრიის პრინცს მაქსიმილიანეს, როცა ეს უკანასკნელი მოუფიქრებლად გამოვიდა საპოლიტიკო საუწყო ასპარეზზე მექსიკაში (მაქსიმილიანე სიკვდილით დასჯილ იქმნა მექსიკელებისაგან, რადგანაც მათის სურვილის წინააღმდეგ იკისრა მეფობა მექსიკაში). ერთ გვარნი მიზეზნი ჰბადავენ ერთ გვარს შედეგსა."

გერმანია. გერმანიის საჯარო შტაბი შესდგომია შესანიშნავის პროექტის შემუშავებას ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ. რკინის გზის ყველა სადგურებზე მოწყობილი იყო პლატფორმები ჯარების ადვილად და საჩქაროდ ჩასასმელად ვაგონებში. ამ გვარი პლატფორმები ძლიან აადვილებენ ჯარების ჩასხმას ვაგონებში და ჯარების გადაყვან-გადმოყვანას; მაგრამ საქმე ის არის, რომ მათის წყალობით უცხოელთ შეუძლიანთ ისეთი ცნობები გაიგონ, რომლებიც არ უნდა იცოდეს არც საზოგადოებამ და არც სხვა ვინმემ. მაგალითად, მათის საშუალებით შეიძლება გაიგონ, თუ სად უნდა გარდმოსხდეს ჯარი. ამიტომაც გერმანიის შტაბს დაუდგენია, რომ ბრძანებაში ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ არ უნდა იყოს მოხსენებული ის ადგილები, სადაც ჯარები უნდა გადმოსხდეს, და ყოველს სადგურზე გამზადებული უნდა იყოს საჭირო მასალა პლატფორმის ასაგებად, იმავე დღეს ან ერთის დღის წინად, როცა ბრძანება გამოვა ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებაო.

გერმანიის წარმომადგენელნი არც ერთს შემთხვევას არ გაუშვებენ ისე, რომ საფრანგეთს რაიმე უპატიურება არ მიაყენონ. მაგალითად, ამ ბოლოს ხანებში, ლეიპციგში უკანასკნელის პროცესსის დროს ბრალმდებელმა თავის სიტყვაში აშკარად თქვა, რომ სამსჯავრომ უნდა გაასამართლოს ისინი, რომლებმაც უღალატეს გერმანიას საფრანგეთის მმართებლობის ჩაგონებითაო. ბრალმდებელმა სთქვა, რომ ელზას-ლოტარინგიაში სხვათა შორის ჯაშუშობენ საფრანგეთის მოხელენი და ამის მაგალითაა შნებელე, რომლის საქმემ კინაღამ გამოიწვია შეტაკება გერმანიასა და საფრანგეთს შორისო.

# დეპეშა

30 ივნისი

პარიჟი. დეპუტატთა პალატაში უმწვერვალესს მემარცხენე დასის წევრმა რევილიონმა გაჰკიცხა კაბინეტი, იმიტომ-რომ მას ნეიტრალიტეტი უჭირავს მემარჯვენე დასის იმ ხრიკების გამო, რომელიც აგრე მოსწონს გრაფ პარიჟელსაო. მინისტრ-პრეზიდენტმა უპასუხა: მე ვსთხოვე ყველა რესპუბლიკელებს დამეხმარეთ ამ საგანში-მეთქი, მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკელებმა უარი გამოაცხადეს, რადგანაც ბულანჟე ახალ კაბინეთში მიღებულ არ იქმნაო. ამ უკანასკნელ ხანებში ბულანჟე კანონის წინააღმდეგ დემონსტრაციების საგნად გადაიქცა და ამის გამო მთავრობა იძულებული გახდა კვლავ სამსახურში მიეღო. მთავრობა რომ სხვა რიგად მოქცეულიყო, მაშინ სამოქალაქო უფლება გაუქმდებოდა. მთავრობას უნდა განაგოს სახელმწიფო რესპუბლიკელთა უმრავლესობის შემწეობით. სამინისტროს წევრნი გულ-წრფელნი რესპუბლიკელნი არიან და ამისათვის მათ არავინ არ დაუწუებს დევნას. კლემანსომ გაჰკიცხა მთავრობა და სთქვა: ბულანჟემ სახელი გაითქვა იმიტომ, რომ გერმანიის ჟურნალ-გაზეთები და მემარჯვენე დას ის წევრნი ჰკიცხავდნენ ამ კაცსაო. რუვიემ უპასუხა, რომ პალატაში 400 რესპუბლიკელი არის და თუ ამ რიცხვის ნახევარმა წინააღმდეგობა გაუწია სამინისტროს, მაშინ იგი იძულებული იქნება სამსახურიდამ გადადგესო. შემდეგ კრებამ 382 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 120-სა დაიწყო განხილვა მორიგის საქმეებისა.

კობურგი. აქაური ოფიციალური გაზეთი განმეორებით ამბობს: გვარეულობის უფროსმა პრინცმა კობურგისამ ნება არ მისცა კობურგის პრინცს—მიიღოს ბოლგარიის გვირგვინი.

ვენა. პრინცმა კობურგისამ დეპეშით მისწერა სტამბულოვს, რომ ბოლგარიის დეპუტაციას 3 ივლისს მივიღებო.

სოფია. ახალი სამინისტრო გუშინ საღამოს შესდგა და აი ვინა და ვინ არიან დანიშნულნი მინისტრებად: სტოილოვი მინისტრთა საბჭოს თავს-მჯდომარედ, ი ესტიციის მინისტრად ® ფინანსთა სამისტროს დროებით გამგედ; ნაჩევიჩი გარეშე საქმეთა მინისტრად, სტრანსკი, ეხლანდელი სადიპლომატო აგენტი ბელგრადში, შინაგან საქმეთა მინისტრად; მაიორი პეტროვი, უფროსი ჯართა შტაბისა —სამხედრო მინისტრად; ჩუმაკოვი საერო განათლების მინისტრად.

1 ივლისი

პეტერბურგი. „Биржевыя Вѣдомости"-ს მიეცა ნება კვლავ იბეჭდებოდეს.

„Новости"-ს შეუტყვია, რომ მეტად შეუმსუბუქებიათ განაჩენი კიევის სამხედრო ოლქის სასამართლოსი შესახებ გენერალის ბორისლავსკისა და სხვა დამნაშავეთა: გენერალს ბორისლავსკის და პოდპოლკოვნიკს ომელიუტას გადუწყვიტეს სამსახურიდამ დათხოვნა ხარისხის აუყრელად, ხოლო კაპიტანს ათვედინკსა და მოხელეს გრაბენკოს ჰაბტვახტაზე დაპატიმრება ერთის თთვით.

პარიჟი. სამხედრო მინისტრის სურვილისა მებრ, პალატამ დღეისათვის დანიშნა განხილვა პროექტისა შესახებ ცხენოსან ჯართა გამრავლებისა და ქვევითა-ჯარის განწყობილებისა.

იმის გამო, რომ ბულანჟეზე ცხარე ბაასი ასტყდა პალატის თავსმჯდომარემ ფლოკემ ითხოვა სამსახურიდამ დამითხოვეთო; მაგრამ პალატამ ერთხმობითად უარი უთხრა ამ თხოვნაზე.

ვენა. აქ მოვიდა ბოლგარიის დეპუტაცია, რათა ჩააბარონ კობურგის პრინცს ოქმი არჩევანისა.

ბელგრადი. გუშინ მობრძანდა აქ დედოფალი, მეფე და მინისტრები მიეგებნენ.

ხმები სამინისტრო კრიზისზე უსაფუძლონი არიან.

პეტერბურგი. გამოცხადებულია სახელმწიფო რჩევის აზრი შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი ცვლილება უნდა მოხდეს არყის გამოხდისა და სპირტის საზღვარ გარედ გატანის თაობაზედ. გამოხდის გამო ცვლილება შეეხება უმთავრესად შემდეგს: რამდენი ხანი უნდა ადუღონ სპირტი, რამდენი გამოჰხადონ და რაც მეტი გამოიხდება, ის მექარხნის სასარგებლოდ უნდა დარჩეს ბაჟის გადუხდელად. როცა სპირტს საზღვარ გარედ გაიტანენ სართსა (премія) და სარგებელში გზაში დანაკლისისათვის ბარათები მიეცემათ და ეს ბარათები ბაჟის ანგარიშში ჩაითვლება, თითო გრადუსი 8 კაპ. კვალობაზედ, ხოლო ხილისა და ჭაჭის სპირტი ანგარიშში ჩავარდება გრადუსზე $3^1/_2$ კაპ. კვალობაზედ. ბაჟი როგორც საზოგადო 9 კაპ. გრადუსზე, აგრეთვე დამატებითი საზღვარ გარეთ გატანილ სპირტზე დაუბრუნდებათ სპირტის გამტანს ბარათებით (Зачетныя Квитанціи) ცვლილება გამოხდის შესახებ უნდა შემოსულ იქმნას 1888 წლის 1 ლ ივლისიდამ, საზღვარ გარეთ გატანის თაობაზედ კი ცვლილება შემოვა იმავე 1888 წლის 1-ლ იანვრიდამ.

პეტერბურგი. უმთავრესნი მოგებანი დღევანდელის ტირაჟისა ერგო შემდეგს ბილეთებსა.

| №№ სერიისა. | №№ ბილეთისა. | მან. |
| --- | --- | --- |
| 7096 | 12 | 20,0000 |
| 15940 | 1 | 75,000 |
| 9920 | 18 | 40,000 |
| 13813 | 11 | 25,000 |
| 14696 | 42 | 10 000 |
| 12093 | 7 | 10,000 |
| 5834 | 11 | 10,000 |
| 2072 | 21 | 8,000 |
| 15143 | 15 | 8,000 |
| 5329 | 32 | 8,000 |
| 16550 | 39 | 8,000 |
| 9913 | 13 | 8,000 |
| 11497 | 13 | 5,000 |
| 15313 | 19 | 5,000 |
| 4760 | 28 | 5,000 |
| 110579 | 22 | 5,000 |
| 9764 | 17 | 5,000 |
| 4234 | 32 | 5,000 |
| 11557 | 38 | 5,000 |
| 8573 | 35 | 5,000 |
| 341 | 48 | 1,000 |
| 8495 | 25 | 1,000 |
| 10336 | 25 | 1,000 |
| 12806 | 9 | 1,000 |
| 14544 | 1 | 1,000 |
| 9562 | 49 | 1,000 |
| 18328 | 23 | 1,000 |
| 4995 | 39 | 1,000 |
| 4326 | 7 | 1,000 |
| 12187 | 30 | 1,000 |
| 7466 | 20 | 1,000 |
| 16158 | 41 | 1,000 |
| 8547 | 20 | 1,000 |
| 7824 | 38 | 1,000 |
| 14554 | 11 | 1,000 |
| 13013 | 13 | 1,000 |
| 8209 | 16 | 1,000 |
| 13938 | 28 | 1,000 |
| 8082 | 48 | 1,000 |
| 9549 | 20 | 1,000 |

პეტერბურგის ბირჟა, 30-ს ივნისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გარიგებისა |
| --- | --- | --- | --- |
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 34 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | $180^1/_4$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — » | — » | 1 27 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . | 261 | — » | — » |
| — მეორისა . . . . | — » | — » | $246^1/_4$ |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | — » |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | — » | — » |


## კერძო განცხადებანი

ინსპექტორი ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა

აცხადებს, რომ მომავალის $18^7/_8$ სასწავლებო წლისათვის სკოლაში არის სულ 64 ვაკანსია. ამათგან 27 ვაკანსია არის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში, რომელშიაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ 7 და 8 წლის ყმაწვილები, და 37 პროგიმნაზიულს კლასებში: 7 პირველში, 10 მეორეში, 10 მესამეში და 10-იც მეოთხეში. მოსამზადებელის კლასის მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებაში არ არის თავისუფალი ადგილი და ამ განყოფილებაში წელს მოსწავლეთა მიღება შეუძლებელია.

პანსიონში თვრამეტი (18) ვაკანსია არის თავისუფალი. ამათგან სამი საზოგადოების სრულს ხარჯზე და თხუთმეტი საზოგადოების ნახევარს ხარჯზე. ამ სამის ვაკანსიიდგან ერთი ეკუთვნის სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა, მეორე ტფილისისას და თელავისას და მესამე გორისას და დუშეთისას. იმას, ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქმნება მიღებული, არაფერი არ გადახდება. ნახევარ ხარჯზე მიღებულ იქმნებიან მოსწავლენი ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრებიდგან და თითოეული იმათგანი ვალდებული იქმნება შემოიტანოს წელიწადში ათი თუმანი, რომლის ნახევარი უნდა წარმოადგინოს პანსიონში შესვლისათანავე და მეორე ნახევარი იანვარში.

გარედამ მოსიარულე მოსწავლეთ გადახდებათ სწავლის ფასი წელიწადში თორმეტი მანეთი, ნახევარი სექტემბერში და მეორე ნახევარი იანვარში.

ვისაც ჰსურს შვილის მობარება გარედამ მოსიარულეთ ან პანსიონში, მომავალის მარიამობისთვის 25-ს რიცხვამდე უნდა შემოიტანოს თხოვნა და თან მოწმობანიც უნდა წარმოადგინოს: ა) წლოვანობის მოწმობა, ბ) თავად-აზნაურობისა, გ) ყვავილის აცრისა და დ) სიღარიბისა. უკანასკნელი საჭიროა მათთვის, ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს, ან ნახევარს ხარჯზე.

ვინც სრულად არ წარმოადგენს სწავლის ფასს ან პანსიონის ფულს თანახმად ზემორე თქმულის წესისა, იგი მიღებულ არ იქმნება სასწავლებელში.

უკეთუ მშობელნი და მზრუნველნი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა თვითონ ტფილისში არა ჰსცხოვრობენ მუდამ, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან წარმოუდგინონ ინსპექტორს თავდებად კეთილსაიმედო პირი ტფილისში მცხოვრებთაგანი, რომელმაც უნდა იკისროს ყმაწვილის მშობლებისა და მზრუნველების მაგივრობა იმ შემთხვევაში, როცა ამას საჭიროება მოითხოვს; უამისოდ არც პანსიონში შეიძლება ყმაწვილის მიღება და არც გარედამ მოსიარულეთ მიეცემათ ნება სასწავლებელში სიარულისა. (3—1)


Дозв. цен. Тиф. 1 іюля 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე